საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მონიტორინგის სისტემის სახელმძღვანელო

2021

სარჩევი

ნაწილი I. მონიტორინგის სისტემის არსი და მონაწილე მხარეები 2
1.1 საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა 2
1.2 სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა 3
1.3 მონიტორინგის სისტემის მონაწილეები და მომხმარებლები 3
1.4 მუნიციპალიტეტების მონაწილეობა მონიტორინგის სისტემაში 4
1.5 საპილოტე რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციათა მონაწილეობა სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემაში 6
1.6 მე-3 პრიორიტეტი - ეროვნული სააგენტოების მონაწილეობა მონიტორინგის სისტემაში 7
1.7 დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებელთა (დთგ) მონაწილეობა სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემაში 9
1.8 რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაწილეობა მონიტორინგის სისტემაში 10
ნაწოლი II. მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება და გამოყენება 11
2.1 სისტემის აღწერა 11
2.2 სისტემაზე წვდომა 11
2.3 ავტორიზაცია 11
2.4 სისტემასთან მუშაობის პრინციპი 13
საჭირო გვერდზე გადასვლა 13
ველებში ინფორმაციის შეყვანა 13
ფაილების ატვირთვა 16
ინფორმაციის დახარისხება/გაფილტვრა 17
მყისიერი შედეგის ინდიკატორები 17
2.5 ზოგადი მონაცემები 18
2.6 ვიზუალური გამოსახვა 18

ნაწილი I. მონიტორინგის სისტემის არსი და მონაწილე მხარეები

1.1 საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

საქართველოს მთავრობამ 2018 წელს შეარჩია ოთხი საპილოტე რეგიონი: კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, რომელთათვისაც შემუშავდა 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (შემდგომში - სრიგპ). პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა. მისი საერთო მიზანია ოთხ საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ერთმანეთთან დაკავშირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივებით. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციით, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელდება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, მეწარმეობის ხელშეწყობა, შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება. ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნია.

ღონისძიებები განხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით. პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტია 67.23 მილიონი ევრო, საიდანაც ევროკავშირის კონტრიბუცია დაახლოებით 53.75 მილიონ ევროს შეადგენს.

სრიგპ თანადაფინანსებული იქნება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, ისევე როგორც ბიზნესის მხარდაჭერის გრანტის მიმღები კერძო საწარმოებისგან. მთავრობის მხრიდან ფართო საბიუჯეტო მხარდაჭერის კომპონენტის გარდა, ევროკავშირი გეგმავს ერთობლივ ღონისძიებებს დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებლების - საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

სრიგპ შედგება 5 პრიორიტეტისგან:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

1.2 სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა

სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა (შემდგომში „სისტემა“) მიზნად ისახავს სრიგპ-ის განხორციელების განგრძობით მონიტორინგს რეგიონულ განზომილებებში, პროგრამის კონკრეტულ და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში, აგრეთვე მუნიციპალურ ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ევროკავშირის ან სხვა დონორის მიერ მხარდაჭერილ აქტივობებთან ურთიერთთავსებადობის პერსპექტივიდან. სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს ელექტრონულ ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო აგრეგირებულ მონაცემებს.

სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემის შემუშავება ფინანსური შეთანხმების შესრულების ინდიკატორების მიხედვით წარმოადგენს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვალდებულებას, რათა ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული ტრანშის ჩამორიცხვა მოხდეს უდანაკარგოდ. პროგრამის მონიტორინგი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის მე-200 დადგენილებასთან „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 629-ე დადგენილებასთან „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.

სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა არ ანაცვლებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ ბიუჯეტის შესრულების (მიმდინარე და წლიური) ანგარიშგებას, არ ცვლის საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ვალდებულებებს და სრიგპ-ის მონაწილე სუბიექტებს არ ათავისუფლებს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ანგარიშგების მომზადება-წარდგენის ვალდებულებისაგან.

სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემა დაფუძნებულია Google Sheet პლატფორმაზე და მისი ფუნქციონირების დეტალური აღწერა მოყვანილია **II ნაწილში.**

აღნიშნული მონიტორინგის სისტემა შესაძლებელია შეიცვალოს მონიტორინგის სისტემის ადმინისტრატორის მიერ პროგრამის განხორციელებისას დადგენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად და გამოვლენილ საჭიროებებთან თანხვედრისთვის.

1.3 მონიტორინგის სისტემის მონაწილეები და მომხმარებლები

სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემა მოიცავს:

- მუნიციპალიტეტებს, რომლებმაც მიიღეს სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსება;
- საპილოტე რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებს (სამხარეო ადმინისტრაციებს);

- სააგენტოებს (აწარმოე საქართველოში, სოფლის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ან სხვა);
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;
- დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებლები (რომლებიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს სააგენტოთი ან საერთაშორისო ორგანიზაციით).

სისტემის მონაწილეები, ამავდროულად, წარმოადგენენ მის მომხმარებლებს, ამიტომ მათ გააჩნიათ სისტემაზე წვდომა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს წვდომა მთლიან სისტემაზე. სამხარეო ადმინისტრაციას წვდომა აქვს შესაბამისი საპილოტე რეგიონისა და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების ფაილებზე; სააგენტოებსა და დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებლებს - მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ფაილებზე; ხოლო მუნიციპალიტეტებს - მათ მიერ განსახორციელებელი პროექტების ფაილებზე.

1.4 მუნიციპალიტეტების მონაწილეობა მონიტორინგის სისტემაში

პროექტის განმახორციელებლები წარმოადგენენ სრიგპ-ის მონიტორინგის ინფორმაციის პირველწყაროს. პირველი, მე-2 და მე-4 პრიორიტეტების შემთხვევაში პროექტის განმახორციელებლები არიან 4 სამიზნე რეგიონის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტები ინფორმაციას აწარმოებენ თითოეული პროექტის განხორციელების პროცესის შესაბამისად. მუნიციპალიტეტი ავსებს ელექტრონულ საინფორმაციო ფორმას (ფაილს).

ყურადღება: ფაილები ივსება თითოეული პროექტის განმახორციელებლის მიერ.

ფაილი მოიცავს ცხრილებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას პროექტის სტატუსის, ეტაპებისა და ინდიკატორების, აგრეთვე პროექტის ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ. გარდა ამისა, ფორმა მოიცავს ინფორმაციას მყისიერი შედეგების, საბოლოო შედეგებისა და ფინანსური ინდიკატორების შესრულების დონეების შესახებ სრიგპ-ის იმ კონკრეტულ ღონისძიებასთან/ქვეღონისძიებასთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი.

ყურადღება: რეგიონული საკონსულტაციო საბჭოების მიერ პროექტის შერჩევის შემდეგ **3 სამუშაო დღის ვადაში** მუნიციპალიტეტს მონიტორინგის ელექტრონულ ფორმაში შეჰყავს გამარჯვებული პროექტის შემდეგი მონაცემები:

- ზოგადი ინფორმაცია;
- პროექტის აღწერა და დასაბუთება;
- განხორციელება და დაფინანსება;
- კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა;
- დამატებითი ინფორმაცია;
- ბენეფიციარები.

ინფორმაციის **განახლება** ხდება პროექტის მიმდინარეობის **სტატუსის შეცვლის შემდეგ 3 სამუშაო დღის ვადაში** (მაგალითად: ხელშეკრულების დადება, ავანსის ჩარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა და ა.შ).

ყურადღება: მუნიციპალიტეტებს ფინანსური მაჩვნეებლების მონაცემები შეჰყავს შემდეგი თანმიმდევრობით:

- პროექტის ფაქტობრივი ღირებულება;
- თანადაფინანსება;
- ეკონომია;
- დაუხარჯავი თანხა.

ზემოაღნიშნული მონაცემების შევსება ხდება ტენდერის შედეგების და საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების საფუძველზე. ინფორმაციის **განახლება** ხდება პროექტის მიმდინარეობის **სტატუსის შეცვლის შემდეგ 3 სამუშაო დღის ვადაში.**

ყურადღება: ინფორმაციის განახლება ხდება წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ. წლიური შედეგების ინდიკატორები **უნდა ასახავდეს 31 დეკემბრის მდგომარეობას.** სრიგპ-ს მყისიერი შედეგების ინდიკატორები მუნიციპალიტეტებს შეჰყავს პროექტის შესრულებისთანავე 3 სამუშაო დღის ვადაში.

თუ პროექტის ხანგრძლივობა აღემატება 1 წელს, მუნიციპალიტეტს მონაცემები შეჰყავს პროექტის დაწყების წლის დასრულების შემდეგ მომდევნო წლის პირველი **3 სამუშაო დღის ვადაში** და ასახული უნდა იყოს პროექტის დაწყების წლის **31 დეკემბრის** მდგომარეობა. ამ შემთხვევაში, საბოლოო მონაცემები მუნიციპალიტეტმა უნდა შეიყვანოს პროექტის დასრულების შემდეგ **3 სამუშაო დღის** ვადაში.

ასევე მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ სისტემაში პროექტთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტების ატვირთვას:

- სააპლიკაციო განაცხადს;
- აქტივობების ბიუჯეტს;
- დროის განრიგს;
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
- საექსპერტო დასკვნას;
- საკრებულოს განკარგულებას;
- მიღება-ჩაბარების აქტს;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტს;
- საჯარო შეხვედრების ოქმებს, რეგისტრაციის ფურცლებსა და შეხვედრების ამსახველ ფოტომასალას;
- ბიზნეს სუბიექტის განცხადება(ები) კონკრეტული ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებაზე;
- ადგილობრივი განვითარების დოკუმენტს;
- პროექტის განხორციელების დაწყებამდე გადაღებულ ფოტოებს;

- სამუშაოების მიმდინარეობის ამსახველ ფოტოებს;
- დასრულებული სამუშაოებების ფოტოებს.

1.5 საპილოტე რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციათა მონაწილეობა სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემაში

დაგეგმვის რეგიონის დონეზე მონიტორინგის სისტემაში ავტომატურად ხდება სრიგპ-ს მყისიერი შედეგებისა, ფინანსური ინდიკატორების /მონაცემების, ფინანსური შეთანხმების სპეციალური მონაცემებისა და ბენეფიციართა რაოდენობის შეჯამება.

ყურადღება: ინფორმაცია **კონკურსში წარმოდგენილი ყველა წინადადებათა** შესახებ ივსება შესაბამისი საპილოტე რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ამავე რეგიონის ფაილში, რომლის სახელი შეესაბამება რეგიონის სახელს: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი.

ამას გარდა, სამსახურები უზრუნველყოფენ შემდეგი **დოკუმენტაციის ატვირთვას** ელექტრონულ სისტემაში:

- ადმინისტრაციული შესაბამისობის ოქმს;
- ტექნიკური შეფასების ოქმს;
- სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრის ოქმს.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები დოკუმენტაციის ატვირთვას უზრუნველყოფს უკანასკნელის შექმნის შემდეგ **არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის** ვადაში.

საპილოტე რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ასევე ივსება ფინანსური ხელშეკრულებით განსაზღვრული ინდიკატორები, კერძოდ:

- რეგიონში შერჩეული პროექტების რაოდენობა;
- რეგიონში შერჩეული პროექტების მთლიანი ღირებულება;
- ფაქტობრივად დახარჯული თანხა;
- ბენეფიციართა ჯგუფები.

ეს მონაცემები ივსება წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ. ხლიური მონაცემები წლიური შედეგების ინდიკატორებმა **უნდა ასახავდეს 31 დეკემბრის მდგომარეობას.**

სამხარეო ადმინისტრაციებს აქვთ უფლება, დამატებითი განმარტებები მოითხოვონ მუნიციპალიტეტებისაგან პროექტების განხორციელებისა და სრიგპ-სთან დაკავშირებული ინდიკატორების მიღწევის შესახებ.

შესაბამისი საპილოტე რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები მუნიციპალიტეტების მიერ პროექტების განხორციელების შესახებ მოწოდებულ მონაცემებსა და ინფორმაციას იყენებენ შეფასების, მიღებული გამოცდილების ანალიზისა და სამომავლოდ პროექტების დაგეგმვისთვის, ისევე როგორც რეგიონში ეკონომიკური და სოციალური აქტივობების სტრატეგიული მიმართულებების განსასაზღვრად.

1.6 მე-3 პრიორიტეტი - ეროვნული სააგენტოების მონაწილეობა მონიტორინგის სისტემაში

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სრიგპ-ის განხორციელებისთვის შერჩეულმა სააგენტოებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მონიტორინგსა და ანგარიშგებაში.

ყურადღება: სრიგპ-ის განხორციელებაში მონაწილე სააგენტოებმა უნდა შეიყვანონ სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემაში კონსოლიდირებული ინფორმაცია განხორციელებული პროექტებისა და სრიგპ-ს შესაბამისი მყისიერი ინდიკატორების შესახებ, რეგიონების მიხედვით, ასევე მყისიერი შედეგის და ფინანსური ინდიკატორები მე-3 პრიორიტეტის თითოეულ ღონისძიებასთან ან ქვეღონისძიებასთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი.

სრიგპ-ს მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში სააგენტოები უზრუვნელყოფენ შემდეგ მყისიერ ინდიკატორებს:

- დაფინასებული საწარმოების რაოდენობა;
- გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
- შექმნილი ბიზნეს ჰაბების რაოდენობა;
- ორგანიზებული სავაჭრო მისიების რაოდენობა;
- გადამზადებული ექსპორტ მენეჯერების რაოდენობა;
- ახალი მანქანა-დანადგარებით და ტექნიკით აღჭურვილი საწარმოების რაოდენობა;

ასევე სააგენტოები უზრუნველყოფენ ფინანსური მაჩვენებლების აგრეგირებული მონაცემების შეყვანას შემდეგი თანმიმდევრობით:

- პროექტების საერთო ღირებულება;
- მთლიანი თანადაფინანსება;
- აუთვისებელი თანხა.

მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული თითოეული პროექტის შესახებ ინფორმაცია შეგროვდება განმახორციელებელი სააგენტოების მიერ საკუთარი მონიტორინგის სისტემის გამოყენებით და ამ მონიტორინგის სისტემის მიხედვით.

სააგენტოები ასევე უზრუნველყოფენ ევროკავშირთან ფინანსური ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი შედეგის ინდიკატორების ასახვას სისტემაში:

- გეოგრაფიული არეალს;
- პროექტების ტიპებს;
- ბენეფიციართა რაოდენობასა და ტიპებს;
- პროექტების ღირებულებას;
- ბენეფიციარების რაოდენობას გენდერის მიხედვით;
- დაფინანსებულ ბიზნესებთა ტიპებს;

ყურადღება: სრგიპ-ს ინდიკატორები ივსება მონიტორინგის სისტემის შესაბამისი ღონისძიების ფორმაში. მონაცემების განახლება ხდება **წელიწადში 2-ჯერ.** წლიური ინდიკატორები უნდა ასახავდეს **31 დეკემბრის** მდგომარეობას და წარმოდგენილი უნდა იყოს მომდევნო კალენდარული წლის დაწყებიდან **არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის** ვადაში.

თუ პროექტის(ების) ხანგრძლივობა აღემატება 1 წელს, სააგენტოს მონაცემები შეჰყავს პროექტის 1-ლი წლის დასრულების შემდეგ მომდევნო წლის პირველი **5 სამუშაო დღის ვადაში** და ასახული უნდა იყოს პროექტის დაწყების წლის **31 დეკემბრის** მდგომარეობა. ამ შემთხვევაში, საბოლოო მონაცემები სააგენტომ უნდა შეიყვანოს პროექტის დასრულების შემდეგ **5 სამუშაო დღის** ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ არის დასრულებული **31 დეკემბრისთვის** და პროექტთან და სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიებასთან/ქვეღონისძიებასთან დაკავშირებული ინდიკატორები არ არის საბოლოო, შესაბამისმა განმახორციელებელმა სააგენტომ უნდა განაახლოს ინფორმაცია **ცვლილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის** ვადაში.

ყურადღება: თუ სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში მოხდა ცვლილება და მან გავლენა იქონია სრიგპ-ს მე-3 პრიორიტეტის ღონისძიების/ქვეღონისძიების ინდიკატორებზე, შესაბამისი ცვლილება სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემაში სააგენტომ უნდა შეიტანოს **არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის** ვადაში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს უფლება, სააგენტოებისგან მოითხოვოს დამატებითი მონაცემები და ინფორმაცია სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების შესახებ.

1.7 დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებელთა (დთგ) მონაწილეობა სრიგპ-ის მონიტორინგის სისტემაში

დთგ-მა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უნდა წარუდგინონ ინფორმაცია სრიგპ-ის და ფინანსური ხელშეკრულების ინდიკატორების მიხედვით. ინფორმაცია ივსება ამ სისტემაში შესაბამის ფაილებში.

თითოეული ფაილი უნდა მოიცავდეს აგრეგირებულ ინფორმაციას სრიგპ-ს მყისიერი შედეგების, საბოლოო შედეგებისა და ფინანსური ინდიკატორების შესრულების შესახებ იმ კონკრეტულ ღონისძიებასთან/ქვეღონისძიებასთან მიმართებით, რომელსაც ახორციელებს დთგ-ი.

ყურადღება: დთგ-ს აგრეგირებული ფინანსური მაჩვნეებლები ყველა ღონისძიებისთვის/ქვეღონისძიებისთვის უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტების რაოდენობა და ფაქტობრივი ღირებულება;
- ბენეფიციართა თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში);
- სრიგპ-ს ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ეკონომია;
- ეკონომიის შედეგად სრიგპ-ს ფარგელბში დაუხარჯავი თანხა.

ზემოაღნიშნული მონაცემების შევსება ხდება დთგ-ს მიერ გამოცხადებული კონკურსების შედეგების და საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების საფუძველზე. ინფორმაციის განახლება ხდება **აღნიშნული ცვლილებების შემდეგ 5** სამუშაო დღის ვადაში.

ყურადღება: სრიგპ-თ და ფინანსური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის განახლება ხდება წელიწადში **არანაკლებ 2-ჯერ.** წლიური შედეგების ინდიკატორები **უნდა ასახავდეს 31 დეკემბრის მდგომარეობას.** სრიგპ-ს მყისიერი შედეგების ინდიკატორები დთპ-ს შეჰყავს პროექტის შესრულებისთანავე **5 სამუშაო** დღის ვადაში.

თუ პროექტის ხანგრძლივობა აღემატება 1 წელს, დთგ-ს მონაცემები შეჰყავს მომდევნო წლის პირველი **5 სამუშაო დღის ვადაში** და ასახული უნდა იყოს წინა წლის **31 დეკემბრის** მდგომარეობა. ხოლო პროექტის დასრულებისას, დთგ-ს საბოლოო მონაცემები შეჰყავს პროექტის დასრულების შემდეგ **5 სამუშაო დღის** ვადაში.

დთპ-ი ასევე უზრუნველყოფენ ევროკავშირთან ფინანსური ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი შედეგების ინდიკატორების ასახვას სისტემაში:

- გეოგრაფიულ არეალს;
- პროექტების ტიპებს;
- ბენეფიციართა რაოდენობასა და ტიპებს;
- პროექტების ღირებულებას;
- ბენეფიციარების რაოდენობას გენდერის მიხედვით;
- დაფინანსებულ ბიზნესებთა ტიპებს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს უფლება, დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებლისგან მოითხოვოს დამატებითი მონაცემები და ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ.

1.8 რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაწილეობა მონიტორინგის სისტემაში

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ითხოვს სრიგპ-ის თითოეულ განმახორციელებლისგან, წარმოადგინონ სრიგპ-ის განხორციელების მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია. ასეთი ინფორმაციის წარმოება თითოეული სრიგპ-ის განმახორციელებლის ვალდებულებაა და წარმოადგენს პროექტის მონიტორინგის განუყოფელ ნაწილს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახდენს რეგიონების, სააგენტოებისა და დელეგირებული თანამშრომლობის განმახორციელებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის აგრეგირებასა და კონსოლიდაციას.

სრიგპ-ის მყისიერი შედეგებისა და ფინანსური ინდიკატორების შესახებ ინფორმაცია ჩაშლილი იქნება რეგიონების, პრიორიტეტების, ღონისძიებებისა და ქვეღონისძიებების მიხედვით, შესაბამის შემთხვევებში - სქესისა და ბენეფიციართა სხვა ტიპის კლასიფიკაციის მიხედვით, დაფინანსებული პროექტის და ბიზნესის (მე-3 პრიორიტეტის შემთხვევაში) ტიპის მიხედვით. ინფორმაცია უნდა განახლდეს ცვლილებიდან **არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის** ვადაში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მონიტორინგის სისტემაში ასახავს ინფორმაციას **სრიგპ-ის საბოლოო შედეგისა და პროგრამის გავლენის ინდიკატორების შესახებ**. აღნიშნული შეეხება პრიორიტეტებს და ღონისძიებებს ურბანული განახლების, უნიკალური ტურიზმის პოტენციალის, მეწარმეობის მხარდაჭერის, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარების შესახებ.

საპილოტე რეგიონებში სრიგპ-ის საბოლოო შედეგებისა და პროგრამის გავლენის ინდიკატორების გასაზომად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ითანამშრომლებს საქსტატთან რეგიონული სტატისტიკური მონაცემების მოსაპოვებლად, რომლებიც საჭირო იქნება სამთავრობო კომისიასა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შესაბამისი ანგარიშგებისთვის. საბოლოო შედეგის ინდიკატორები უნდა იწარმოოს ყოველწლიურად, მაშინ, როდესაც ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი და არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 მარტისა.

ნაწილი II. მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება და გამოყენება

2.1 სისტემის აღწერა

სრიგპ-ს მონიტორინგის სისტემა დაფუძნებულია Google Sheet პლატფორმაზე, რომელიც მომხმარებელებლებს აძლევს ინფორმაციის ონლაინ თავმოყრისა და მყისიერი მიმოცვლის შესაძლებლობას.

სისტემა იყენებს Google-ის სხვა ონლაინ სერვისებს, ამგვარად, შესაძლებელია სისტემისათვის დამატებითი ფუნქციების მიცემა, როგორიცაა ფაილების ატვირთვა, მონაცემების ვიზუალიზაცია, ავტომატური სარეზერვო ასლების გაკეთება და ა.შ.

არსებული გარემო ინფორმაციის მაქსიმალურად სწრაფად, მარტივად და მოსახერხებლად შეგროვების შესაძლებლობას იძლევა.

სისტემა ინფორმაციის შეყვანისთანავე ავტომატურად ინახავს მომხმარებლის ცვლილებებს და ინახავს მოცემული ცვლილებების ისტორიას.

2.2 სისტემაზე წვდომა

მონიტორინგის სისტემაზე წვდომის მისაღებად აუცილებელია შესაბამისი დონის ფაილებზე გადასვლა, რომელთა ბმულებიც ქვემოთ არის მოცემული:

მუნიციპალიტეტები → ბმული

რეგიონები → ბმული

სამინისტრო → ბმული

ფაილების სანახავად და ცვლილებების შესატანად აუცილებელია, მომხმარებელს ჰქონდეს Google-ის ანგარიში, რომელსაც გააჩნია შესაბამისი წვდომა.

2.3 ავტორიზაცია

სისტემაში ავტორიზაციისათვის არსებობს გვერდი, რომლის ხილვა შესაძლებელია ამ ბმულზე.

შესასვლელად საჭიროა მომხმარებელმა მიუთითოს მისთვის გამოყოფილი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ამ ინფორმაციის შეყვანის შემდეგ მომხმარებელი ავტომატურად გადავა გვერდზე, საიდანაც შეეძლება საჭიროებისამებრ ფაილებზე წვდომა.

ცხრილი 1. მონიტორინგის სისტემის ავტორიზაციის გვერდი

ცხრილი 2. მონიტორინგის სისტემის გვერდი სისტემაზე ბმულებით

2.4 სისტემასთან მუშაობის პრინციპი

საჭირო გვერდზე გადასვლა

საჭირო პროექტის მოსაძებნად უნდა გამოვიყენოთ მუნიციპალიტეტების ფაილში 'Info' გვერდზე არსებული სარჩევი. აქ შესაძლებელია რეგიონის მიხედვით ავირჩიოთ საჭირო მუნიციპალიტეტი, პრიორიტეტი და კონკრეტული პროექტი. არჩევის შემდეგ სისტემა ავტომატურად აგენერირებს ლინკს, საიდანაც შესაძლებელია საჭირო ფაილზე გადასვლა.

ცხრილი 3. პროექტების სარჩევი: მუნიციპალიტეტის არჩევა

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	#	პროექტი	ლინკი
გურია	ოზურგეთი	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/GURIA/01	დააჭირე აქ
იმერეთი	ოზურგეთი ჩოხატაური	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/05	დააჭირე აქ
კახეთი	[illegible]	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/02	დააჭირე აქ
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ცაგერი	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/RACHA-LECH	დააჭირე აქ

ცხრილი 4. პროექტების სარჩევი: პრიორიტეტის არჩევა

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	#	პროექტი	ლინკი
გურია	ოზურგეთი	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/GURIA/01	დააჭირე აქ
იმერეთი	საჩხერე	1.1	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/05	დააჭირე აქ
კახეთი	თელავი	1.2	PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/02	დააჭირე აქ
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ცაგერი	1.3	PIRDP/4.2/CfP#1/RACHA-LECH	დააჭირე აქ
		2.1		
		2.2		
		2.3		
		4.1		
		4.2		
		4.3		

ცხრილი 5. პროექტების სარჩევი: ველების არჩევის შემდეგ განახლებული ბმულით

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	#	პროექტი	ლინკი
გურია	ოზურგეთი	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/GURIA/01	დააჭირე აქ
იმერეთი	საჩხერე	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/05	დააჭირე აქ
კახეთი	თელავი	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/02	დააჭირე აქ
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ცაგერი	4.2	PIRDP/4.2/CfP#1/RACHA-LECH	დააჭირე აქ

ველებში ინფორმაციის შეყვანა

თითოეულ ფაილში მომხმარებლებს წვდომა აქვთ მხოლოდ სპეციფიურ ველებზე. ამ ველებში საჭიროების მიხედვით შეზღუდულია მონაცემების როგორც ტიპი, ასევე მათი მოცულობა.

ველები, სადაც შესაძლებელია ცვლილების შეტანა მოცემულია ყვითლად ან წარმოდგენილია ინტერაქტიული მოდულების სახით.

ველების მარჯვნივ წარმოდგენილია მიმთითებელი ფერები, რომლებიც მომხმარებელს მიახვედრებს არის თუ არა საჭირო ადგილები შევსებული:

- წითელი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ შესავსებია;
- მწვანე მიუთითებს, რომ ველი წარმატებით შეივსო.

იხილეთ მაგალითები ქვემოთ:

ცხრილი 6. შესავსები ველები

პროექტის განხორციელების დრო	გთხოვთ მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):	
	-----> ექვსი თვე	
	მიუთითეთ შეცვლილი განხორციელების დრო ასეთის არსებობის შემთხვევაში; განმარტეთ ცვლილების მიზეზი:	
	----->	
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):	
	-----> აგვისტო, 2020 წელი.	
	მიუთითეთ განხორციელების დაწყების ფაქტობრივი თარიღი; ცვლილების შემთხვევაში, განმარტეთ მიზეზი:	
	მიუთითეთ თარიღი ----->	
	მიუთითეთ მიზეზი ----->	
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების	
	-----> 2020-12-15	
	არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ ცვლილებები დასრულების დაგეგმილ თარიღში; განმარტეთ ცვლილების მიზეზი:	
	მიუთითეთ თარიღი ----->	
	მიუთითეთ მიზეზი ----->	

ცხრილი 7. ნაწილობრივ შევსებული ველები

პროექტის განხორციელების დრო	გთხოვთ მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):	
	-----> ექვსი თვე	
	მიუთითეთ შეცვლილი განხორციელების დრო ასეთის არსებობის შემთხვევაში; განმარტეთ ცვლილების მიზეზი:	
	----->	
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):	
	-----> აგვისტო, 2020 წელი.	
	მიუთითეთ განხორციელების დაწყების ფაქტობრივი თარიღი; ცვლილების შემთხვევაში, განმარტეთ მიზეზი:	
	მიუთითეთ თარიღი -----> 07-10-2020	
	მიუთითეთ მიზეზი ----->	
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების	
	-----> 2020-12-15	
	არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ ცვლილებები დასრულების დაგეგმილ თარიღში; განმარტეთ ცვლილების მიზეზი:	
	მიუთითეთ თარიღი -----> 15-01-2021	
	მიუთითეთ მიზეზი ----->	

ცხრილი 8. სრულად შევსებული ველები

პროექტის განხორციელების დრო	გთხოვთ მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):	
	-----> ექვსი თვე	
	მიუთითეთ შეცვლილი განხორციელების დრო ასეთის არსებობის შემთხვევაში; განმარტეთ ცვლილების მიზეზი:	
	-----> 7 თვე, გახანგრძლივდა ტენდერის პროცედურები	
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):	
	-----> აგვისტო, 2020 წელი.	
	მიუთითეთ განხორციელების დაწყების ფაქტობრივი თარიღი; ცვლილების შემთხვევაში, განმარტეთ მიზეზი:	
	მიუთითეთ თარიღი -----> 07-10-2020	
	მიუთითეთ მიზეზი -----> გახანგრძლივდა ტენდერის პროცედურები	
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების	
	-----> 2020-12-15	
	არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ ცვლილებები დასრულების დაგეგმილ თარიღში; განმარტეთ ცვლილების მიზეზი:	
	მიუთითეთ თარიღი -----> 15-01-2021	
	მიუთითეთ მიზეზი -----> გახანგრძლივდა ტენდერის პროცედურები	

სისტემაში ინფორმაციის შეყვანა შესაძლებელია ასევე წინასწარ მოცემული ჩამოსაშლელი ვარიანტების მიხედვით, ასეთ მოდულებში საჭიროა შესაბამისი ვარიანტების მონიშვნა და შემდგომში რაოდენობრივი ინფორმაციის დამატება.

იხილეთ მაგალითები:

ცხრილი 9. ცარიელი მოდელი

PIRDP შედეგის ინდიკატორები		მონაცემები	დამოწმების წყარო
	რაოდენობა		

ცხრილი 10. მოდელი ჩამოსაშლელი ვარიანტებით

PIRDP შედეგის ინდიკატორები		მონაცემები	დამოწმების წყარო
	რაოდენობა		
ადგილობრივი გზები და თანმხლები ინფრასტრუქტურა (კმ)			
რეკრეაციული ზონები (რ-ბა)			
ქუჩის ტროტუარები (კმ)			
პარკირების ადგილი (რ-ბა)			
ავტობუსის გაჩერებები აშენებული/რეაბილიტირებული (რ-ბა)			
საპირფარეშოები (რ-ბა)			
საინფორმაციო დაფები (რ-ბა)			
ტურისტული დროებითი საცხოვრებელი (რ-ბა)			

ცხრილი 11. მოდელი ყველა შევსებული ველით

PIRDP შედეგის ინდიკატორები		მონაცემები	დამოწმების წყარო
მხარდაჭერილი სოფლები და დასახლებები	რაოდენობა	1	
ადგილობრივი გზები და თანმხლები ინფრასტრუქტურა (კმ)		10	
საპირფარეშოები (რ-ბა)		2	
ავტობუსის გაჩერებები აშენებული/რეაბილიტირებული (რ-ბა)		2	
სავაჭრო ადგილები მცირე ნაკეთობებისთვის (კვ მ)		1	
საინფორმაციო დაფები (რ-ბა)		5	

ფაილების ატვირთვა

დოკუმენტების სამომავლოდ შესანახად და მონიტორინგის პროცესში მათ გასაცნობად სისტემა იძლევა Google Drive-ზე ფაილების ატვირთვის საშუალებას.

ამისათვის აუცილებელია, რომ მომხმარებელი გადავიდეს რეგიონული დონის ფაილში მითითებულ შესაბამის ლინკზე. ლინკზე გადასვლისას დაგვხდება შესავსები ფორმა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიუთითოს რომელი რეგიონის, მუნიციპალიტეტის/პროექტის ფაილებს ტვირთავს.

ფაილების წარმატებით ატვირთვის შემდგომ მათი ნახვა შესაძლებელია სპეციალური ღილაკების მეშვეობით, რომელიც მითითებულია რეგიონულ და სამინისტროს დონეზე.

იხილეთ მაგალითი ქვემოთ:

ცხრილი 12. ფაილების ატვირთვის და ნახვის ღილაკები



ცხრილი 13. რეგიონის და პროექტის არჩევის მოდულები



ცხრილი 14. ფაილის ატვირთვის მოდული



ინფორმაციის დახარისხება/გაფილტვრა

მყისიერი შედეგის ინდიკატორები

სამინისტროს ფაილის დონეზე შესაძლებელია, რომ მომხმარებელმა გაფილტროს გარკვეული მონაცემები, რაც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა ეფექტურად მიაგნოს საჭირო ინფორმაციას. ამგვარ სისტემას წარმოადგენს, მაგალითად, მყისიერი ინდიკატორების გვერდი სამინისტროს ფაილში.

მოცემული 4 ღილაკი საშუალებას იძლება მონაცემები გაიფილტროს რეგიონის, ინდიკატორის, პროექტისა და მონაცემის მიხედვით. გაფილტვრა ხდება 'და' ლოგიკით (ცხრილი გამოაჩენს მონაცემებს რომელიც აკმაყოფილებს, მაგალითად, რეგიონის და პროექტის პარამეტრებს). შესაძლებელია ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება მომხმარებლის სურვილის მიხედვით.

ცხრილი 15. მყისიერი შედეგის ინდიკატორების გაფილტვრა

PIRDP მყისიერი შედეგის ინდიკატორები

რეგიონი	პროექტი	ინდიკატორები	მონაცემი
იმერეთი	ტყიბული	ქუჩის ტროტუარები კმ	23
იმერეთი	ტყიბული	ტურისტული ქოხი რ-ბა	3
იმერეთი	ტყიბული	სავაჭრო ადგილები მყარე ნაკეთობებისთვის კვ მ	4
იმერეთი	ტყიბული	მოდერნიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, უნივერსიტეტები) რ-ბა	3
იმერეთი	ტყიბული	მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხები გრძ მეტრი	2
იმერეთი	ვანი	ადგილობრივი გზები და თანმხლები ინფრასტრუქტურა კმ	2
იმერეთი	ვანი	პარკირების ადგილი კვ მეტრი	34
იმერეთი	ვანი	საინფორმაციო დაფები რ-ბა	23
იმერეთი	ვანი	შექმნილი მრავალფუნქციური ცენტრები რ-ბა	3
იმერეთი	ვანი	თეატრები რ-ბა	4
იმერეთი	საჩხერე	ავტობუსის გაჩერებები აშენებული/რეაბილიტირებული რ-ბა	3
იმერეთი	საჩხერე	ადგილობრივი გზები და თანმხლები ინფრასტრუქტურა კმ	55
იმერეთი	საჩხერე	თეატრები რ-ბა	2
იმერეთი	საჩხერე	განახლებული სახელმწიფო შენობი რ-ბა	34
იმერეთი	საჩხერე	მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხები გრძ მეტრი	12
იმერეთი	ბაღდათი	რეკრეაციული ზონები რ-ბა	34
იმერეთი	ბაღდათი	კემპინგები და მოსასვენებელი ადგილები აშენებული/რეაბილიტირებული რ-ბა	32
იმერეთი	ბაღდათი	ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიები მოწყობილი რ-ბა	2
იმერეთი	ბაღდათი	სპორტული ობიექტი რ-ბა	3
იმერეთი	ბაღდათი	მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხები გრძ მეტრი	5
იმერეთი	სამტრედია	რეკრეაციული ზონები რ-ბა	23
იმერეთი	სამტრედია	საპირფარეშოები რ-ბა	4
იმერეთი	სამტრედია	ტურისტული გზები კემპინგებამდე კმ	3
იმერეთი	სამტრედია	მოდერნიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, უნივერსიტეტები) რ-ბა	234
იმერეთი	სამტრედია	სკვერები რ-ბა	3
კახეთი	ახმეტა	რეკრეაციული ზონები რ-ბა	5

2.5 ზოგადი მონაცემები

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფაილის მოცემულ გვერდზე წარმოდგენილია მის მიერ მოთხოვნილი ცხრილი, რომელიც იღებს მონაცემებს მთელი სისტემიდან და ახარისხებს მათ შესაბამის ველებში. აქ მოცემულია ცხრილის მხოლოდ მცირედი ნაწილი, სრულის ნახვა შესაძლებელია შესაბამის გვერდზე სამინისტროს ფაილში.

ცხრილი 16. ზოგადი მონაცემების ცხრილი

N	პროექტის N	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	მყისიერი შედეგები
1	PIRDP/4.2/CfP#1/ KAKHETI/02	ახმეტა	სოფელ ბაბანეურთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	მოწყობილია 2.74 კმ. ასფალტბეტონის გზა
2	PIRDP/4.2/CfP#1/ KAKHETI/04	თელავი	ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე ჰიპერმარკეტ „გორგიას" მიმდებარედ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	რეაბილიტირებულია 668 მეტრი გზა, ფართობი - 4070 მ2
3	PIRDP/4.2/CfP#1/ KAKHETI/01	საგარეჯო	მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა	დაგებულია 1.664 კმ გზა
ჯამი				
1	PIRDP/4.2/CfP#1/ IMERETI/05	ტყიბული	სოფელ საწირეში (სანატორიუმის მიმდ.) ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა	რეაბილიტირებული 736 მ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
2	PIRDP/4.2/CfP#1/ IMERETI/07	სამტრედია	ქ. სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩაზე რკინიგზის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები	მოწესრიგებულია 6444 კვ. მ. გასართობ - დასასვენებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურა
3	PIRDP/4.2/CfP#1/ IMERETI/03	ვანი	სოფ. ისრითში ღაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	რეაბილიტირებულია 1.2 კმ. საავტომობილო გზა და 24 მ. საფეხმავლო ხიდი

2.6 ვიზუალური გამოსახვა

სისტემა საშუალებას იძლევა მოცემული მონაცემების მიხედვით ააგოს ვიზუალიზაციები მომხმარებლისთვის პროექტის მიმდინარეობის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, ასევე სხვადასხვა ტიპის მოხსენების დასამზადებლად.

ამ ეტაპზე ვიზუალიზაციები წარმოდგენილია მხოლოდ სამინისტროს დონეზე, მაგალითები:

ცხრილი 1. PIRDP ფინანსური ინდიკატორები



ცხრილი 2. PIRDP ფინანსური ინდიკატორები